Г. Гегель (1770 – 1831), также четко разделяя государство и гражданское общество, соотносил понятие гражданского общества с понятиями свободы и нравственности. Гражданское общество для него – это сфера реализации особенных, частных целей и интересов отдельной личности. Его цель – защита материальных и моральных интересов индивида.

Согласно взглядам Гегеля, государство отличается от гражданского общества тем, что оно преследует не одно только благо индивидов, а стремится к осуществлению идеи, согласно которой оно в случае необходимости готово принести в жертву личные интересы. Государство с его возвышенными и идеальными устремлениями, большими и плодотворными целями, является верховенством идеи над эгоизмом, торжеством общего объективного разума над личным субъективным. Она, по мнению Гегеля, является той целью, для

которой семья и гражданское общество выступают средствами достижения. Частные интересы человека и определенного сообщества должны в нем уступить большим интересам Родины. Государство по сути своей относится к сфере идеи и Абсолюта; следовательно, она не может, допускать эгоистических оппозиций [5].

Таким образом, гражданское общество он рассматривает как промежуточный институт в развитии человеческого общежития от семьи к государству. Социальная жизнь гражданского общества отличается от семейных отношений и жизни государства. Частные лица, группы, институты, которые руководствуются в своей деятельности гражданским правом, составляют структуру гражданского общества, где взаимодействуют частные интересы. При этом, по мнению Гегеля, общество не может стать гражданским, пока оно не станет развиваться под контролем государства. Только конституционное государство, как утверждал ученый, может оптимально сочетать личные интересы. Она выступает и как внешняя необходимость, и как имманентная цель в отношении этих интересов, интересов семьи и гражданского общества. Государство, как отмечал Г. Гегель, представляет общество в его единстве. Государство таким образом есть общий разум, которым должны проникнуться индивиды, составляющие гражданское общество, высшее могущество, которому они должны, подчиняться.

В дальнейшем, в конце XIX и XX вв. указанные научные теории выступили основой многих научных школ и подходов, в том числе стали основой формирования общинной и государственной теории местного самоуправления [17]. На основании указанных идей в гуманитарных науках, в том числе и государственном управлении, также получил распространение подход к гражданскому обществу как к комплексу общественных отношений и институтов, независимых от государства, но таких, которые активно взаимодействуют с ним и включают:

- добровольно сформированные первичные самоуправляющиеся сообщества людей (кооперативы, ассоциации, союзы, общественные организации, профессиональные, творческие, спортивные, этнические, конфессиональные и другие объединения);
- совокупность негосударственных (экономических, социальных, духовных, нравственных и других) социальных отношений;
- приватную жизнь людей, их традиции, обычаи, нравы;
- сферу местного самоуправления, законодательно защищенную от прямого вмешательства со стороны государства.

При этом признается, что в гражданском обществе социальные

процессы структурируются и воспроизводятся в виде социальных институтов, действующих, с одной стороны, в соответствии с нормами права, а с другой – удовлетворяя потребности и интересы граждан. При этом, говоря о роли в функции гражданского общества в системе публичного управления, большинство ученых сходятся на том, что оно является основой существования любого демократического государства и предпосылкой эффективного местного самоуправления. Ведь без гражданского общества ни о первом, ни о втором говорить просто нельзя.

**Выводы и перспективы дальнейших исследований.** Гражданское общество является одним из видов сложных социальных систем, которое сформировалось во время развития человеческой цивилизации, удовлетворяя насущные потребности людей в различных сферах, и в том числе по решению социально-бытовых и экономических, а также политических проблем. Выделяя ключевые признаки гражданского общества, опираясь на исторические традиции, можно выделить следующие:

- легальность (деятельность в рамках правовых норм);
- плюрализм (учета мнений и интересов его членов);
- публичность (открытое пространство коммуникаций, участия общественности);
- автономность (независимость от государства);
- артикуляцию политической воли и социальных норм;
- деятельность ради удовлетворения интересов своих членов.

Институционализация гражданского общества повлекла возникновение особого вида публичного управления – местного самоуправления. Местное самоуправление является одним из важнейших институтов гражданского общества наряду с такими институтами, как общественные организации, общественные движения, объединения и т.п. Исходя из указанного, создание эффективного местного самоуправления сегодня невозможно без активного развития институтов гражданского общества. Важная задача украинского государства на современном этапе развития, соответственно, видится в том, чтобы создать необходимые правовые и организационные условия, благоприятную политическую атмосферу для развития общественных инициатив и объединений.

Организационно-правовые механизмы развития гражданского общества в Украине станут предметом дальнейших научных исследований.



## Литература References:

1. Аристотель. Сочинения. В 4 т. / Аристотель ; пер. с древнегр. ; общ. ред. А. И. Доватура. – М. : Мысль, 1983. – Т. 4. – 830 с.
2. Батанов О. В. Територіальна громада – основа місцевого самоврядування в Україні / О. В. Батанов ; заг. ред. В. Ф. Погорілко ; Ін-т держави і права ім. В. М. Корецького ; НАН України. – К. : [б.в.], 2001. – 260 с.
3. Волкова Н. В. Інституціоналізація місцевого самоврядування як суб'єкта управління освітою: кластерний підхід : автореф. дис. ... к.держ.упр. : спец. 25.00.04 / Н. В. Волкова. – Дніпропетр., 2013. – 20 с.
4. Воронов І. О. Виклик «Левіафану»: еволюція і перспективи громадянського суспільства : монографія / І. О. Воронов. – К. : Генеза, 2007. – 400 с.
5. Гегель Г. Ф. В. Философия права / Г. Ф. В. Гегель. – М. : Мысль, 1990. – 524 с. Гоббс Т. Сочинения в 2 т. / Т. Гоббс. – М. : Мысль, 1989. – Т.1. – 622 с.
6. Гоббс Т. Левиафан, или Материя, форма и власть государства церковного и гражданского / Т. Гоббс. – М. : Мысль, 2001. – 240 с.
7. Гумбольдт В. К. Опыт установления пределов государственной деятельности / В. К. Гумбольдт. – СПб. : Типо-Литография "Евг. Тиле преemn.", 1908. – 172 с.
8. Європейська хартія місцевого самоврядування [Електронний ресурс]. – Режим доступу : <http://zakon2.rada.gov.ua>.
9. Івченко О. Г. Людина в структурі громадянського суспільства: філософія ідентичності О. Г. / Івченко ; Нац. пед. ун-т ім. М. П. Драгоманова. – 2-ге вид. – К. : Знання України, 2013. – 379 с.
10. Кант И. Идея всеобщей истории во всемирно гражданском плане / И. Кант // Сочинения: в 6 т. – М. : Политиздат, 1966. – Т.6. – С. 5–24.
11. Кант И. Предполагаемое начало человеческой истории / И. Кант // Трактаты и письма. – М. : Политиздат, 1980. – С. 43–59.
12. Колодій А. М. Державне будівництво і місцеве самоврядування в Україні : підручник / А. М. Колодій, А. Ю. Олійник. – 2. вид., переробл. і доп. – К. : Юрінком Інтер, 2007. – 504 с.
13. Кравчук В. М. Громадські організації і держава: взаємовідносини в умовах формування громадянського суспільства в Україні (теоретико-правові аспекти) : монографія / В. М. Кравчук ; Терноп. нац. екон. ун-т. –Т. : Терно-граф, 2011. – 260 с.
14. Лазор О. Д. Інституціоналізація публічної самоврядної влади в Україні : дис. ... д.держ.упр. : спец. 25.00.04 / О. Д. Лазор. – Л., 2009. –

594 ს.

15. Локк Дж. Два трактата о правлении / Дж. Локк. – М. : Канон +,
16. Реабилитация. – 2009. – 400 с.
17. Овчаренко В. А. Місцеве самоврядування в Україні: історичні витоки, становлення та перспективи : монографія / В. А. Овчаренко.- К.: Логос, 2014. -911 с.
18. Проблеми формування громадянського суспільства та правової держави: історія та сучасність : зб. ст. / [З. О. Возна та ін.] ; ред. кол. : З. В. Священко, В. В. Сокирська ; Уман. держ. пед. ун-т ім. П. Тичини ; Ін-т філології та суспільствознав. ; іст. ф-т ; каф. всесвіт. історії та правознав. – Умань : [Жовтий], 2010. – 193 с.
19. Скуратівський В. А. Соціальні системи та соціологічні методи дослідження : навч. посіб. / В. А. Скуратівський, М. Ф. Шевченко ; УАДУ при Президентові України. – К. : Вид-во УАДУ, 1998. – 188 с.
20. Соціальні системи у дискурсі синергетичної парадигми / Нац. пед. ун-т ім. М. П. Драгоманова ; [за ред. В. П. Беха]. – К. : Вид-во НПУ ім. М. П. Драгоманова, 2011. – 486 с.
21. Сурмин Ю. П. Теория систем и системный анализ / Ю. П. Сурмин. -К. : Межрегиональная академия управления персоналом, 2003. -363 с.
22. Фергюсон А. Опыт истории гражданского общества / А. Фергюсон ; пер. с англ. И. И. Мюрберг ; под ред. М. А. Абрамова. – М. : РОССПЭН, 2000. – 391 с.

**Рецензент:** профессор Вячеслав Дзюндзюк, заведующий кафедрой политологии и философии Харьковского регионального института государственного управления Национальной академии государственного управления при Президенте Украины, доктор наук по государственному управлению.

**ოლეგ გირმანი**

**მეცნიერული წარმოდგენების გენეზისი სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს შრიტობით**

### რეზიუმე

განხილულია მეცნიერული წარმოდგენების ევოლუცია სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, მისი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი და როლი ადგილობრივი თვითმართვლობის განვითარებაში. დამტკიცებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოებას საკუთარი ინტერესები და ფუნქციები გააჩნია, რომელიც არსებითად განსხვავდება

სახელმწიფოებრივისაგან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობა სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო, მოქალაქე, უფლება, სახელმწიფო მართვა, საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოება, ადგილობრივი თვითმმართველობა.

**რეკვენზენტი:** პროფესორი ვიაჩესლავ ძიუნდიუკი, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის ხარკოვის რეგონალური ინსტიტუტის პოლიტოლოგიისა და ფილოსოფიის კათედრის გამგე.

**Oleg Girman**

## **THE GENESIS OF SCIENTIFIC IDEAS ABOUT THE INTERACTION OF CIVIL SOCIETY AND THE STATE**

### **Summary**

The evolution of scientific understanding of civil society and its relationship with the state and the role of local government. It is proved that civil society has its own interests and functions that differ significantly from state and local government is one of the most important institutions of civil society.

**Keywords:** state, citizen, law, public administration, community, civil society, local government

**Reviewer:** Professor Viacheslav Dziundziuk, doctor of sciences, Head of Political Science and Philosophy Chair of Kharkiv Regional Institute of Public Administration of National Academy of Public Administration attached to the Office of the President of Ukraine

**თამარ ჯავახიშვილი, ბიორბი ზირაქაშვილი**  
**ადმინისტრაციული რეფორმების მნიშვნელოვანი მიზეზები**  
**ვეროსაბჭოს შემდგომ**

ადმინისტრაციული რეფორმები თანამედროვე ევროპის სახელმწიფო მმართველობის განუყოფელი ნაწილია. რეფორმები ტარდება ევროსაბჭოს ყველა ქვეყანაში და პრაქტიკულად, შესაძლებელია ყველა სახელმწიფოში მოიძებნოს რეფორმირების მსგავსი კომპონენტები, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ სახელმწიფოებრივი რეფორმირების ტრანსნაციონალური ზაციაზე.

დასაგლეთ ევროპელი მეგლეგარები ხაზს უსვამენ ოთხ ძირითად სფეროს, რომელშიც ძირითადად ადმინისტრაციული რეფორმები ტარდება: სახელმწიფო ხარჯების მართვაში; საკადრო პოლიტიკის და სამოქალაქო სამსახურის მმართველობაში; აღმასრულებელი ორგანოს ორგანიზაციული სტრუქტურის სისტემაში; პოლიტიკის განვითარებასა და რეალიზაციაში. ევროსაბჭოს ქვეყნების ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი რეფორმების მეტნაკლებად საერთო მიზეზების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ისინი ძირითადად უნდა დაჯგუფდნენ ორ მსხვილ ბლოკში. პირველი ბლოკი – შიდასახელმწიფოებრივი მიზეზები; მეორე ბლოკი – საერთაშორისო ანუ საგარეო მიზეზები. პირველ ბლოკს მიეკუთვნება: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, მმართველობითი და სამეცნიერო მიზეზები, ხოლო მეორე ბლოკი მოიცავს ბევრ საგარეო ფაქტორს, რომელთაგანაც უმთავრესად გვევლინება ევროპული ინტეგრაცია და გლობალიზაცია. ეს მიზეზები კომპლექსურად გამოხატავს ევროპის რეფორმირების მთავარ პარამეტრებს და მიმართულებებს, განსაზღვრავენ რეფორმების მიზნებს, დანიშნულებას და შინაარსს.

**საკვანძო სიტყვები:** ადმინისტრაციული რეფორმა, ევროპული გამოცდილება, ევროსაბჭოს ქვეყნები, გამოძევები მიზეზები, ფინეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ევროინტეგრაცია, გლობალიზაცია.

ადმინისტრაციული რეფორმები თანამედროვე ევროპის სახელმწიფო მმართველობის განუყოფელი ნაწილია. რეფორმები ტარდება ევროსაბჭოს ყველა ქვეყანაში და პრაქტიკულად, შესაძლებელია ყველა სახელმწიფოში

მოიძებნოს რეფორმირების მსგავსი კომპონენტები, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ სახელმწიფოებრივი რეფორმირების ტრანსნაციონალიზაციაზე.

დასავლეთ ევროპელი მეკლევარები ხაზს უსვამენ ოთხ ძირითად სფეროს, რომელშიც ძირითადად ადმინისტრაციული რეფორმები ტარდება: სახელმწიფო ხარჯების მართვაში; საკადრო პოლიტიკის და სამოქალაქო სამსახურის მმართველობაში; აღმასრულებელი ორგანოს ორგანიზაციული სტრუქტურის სისტემაში; პოლიტიკის განვითარებასა და რეალიზაციაში. ნებისმიერი პროცესის ან გარდაქმნის შესწავლისას, ამომავალ წერტილად ყოველთვის მიიჩნევა იმ მიზეზების ანალიზი, რომელთა გამოც მოხდა ეს პროცესები. რეფორმების მიზეზები დისკუსიას იწვევს თანამედროვე პოლიტოლოგებში.

ადმინისტრაციული რეფორმები- ეს არის დაგეგმილი ევოლუციური პროცესი სტრუქტურულ-ფუნქციონალური ცვლილებებისა სახელმწიფო აპარატის მუშაობის პროცესში, რომლებიც მიმართულია ეფექტურობის გაზრდისა და აპარატის მუშაობის ხარისხის ამაღლებისაკენ. ევროსაბჭოს ქვეყნების ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი რეფორმების მეტნაკლებად საერთო მიზეზების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ისინი ძირითადად უნდა დაჯგუფდნენ ორ მსხვილ ბლოკში. პირველი ბლოკი - შიდასახელმწიფოებრივი მიზეზები; მეორე ბლოკი - საერთაშორისო ანუ საგარეო მიზეზები. პირველ ბლოკს მიეკუთვნება: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, მმართველობითი და სამეცნიერო მიზეზები, ხოლო მეორე ბლოკი მოიცავს ბევრ საგარეო ფაქტორს, რომელთაგანაც უმთავრესად გვევლინება ევროპული ინტეგრაცია და გლობალიზაცია. ეს მიზეზები კომპლექსურად გამოხატავს ევროპის რეფორმირების მთავარ პარამეტრებს და მიმართულებებს,

განსაზღვრავენ რეფორმების მიზნებს, დანიშნულებას და შინაარსს.

პირველი ბლოკის მიზეზებს თუ განვიხილავთ, პოლიტიკურ მიზეზებში ძირითადად მოიაზრება პოლიტიკური ელიტის უკმაყოფილება სახელმწიფო აპარატის მუშაობით, პოლიტიკური ელიტის სწრაფვა მოქალაქეთა ნდობის დაბრუნებისაკენ. ეკონომიკურ მიზეზებს მიაკუთვნებენ ბიუროკრატიული აპარატის შესანახად გაწეული დიდი ხარჯებით გამოწვეულ ფინანსურ პრობლემებს, წამგებიან

საწარმოებს, მართვის პროცესში დაგეგმვის ძველი მეთოდების და კონტროლის მექანიზმის გამოყენებით გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯებს. სოციალური მიზეზები ძირითადად მოქალაქეთა უკმაოფილებაა სახელმწიფოს მუშაობით, მოქალაქეთა მომსახურების წარმოდგენილი ხარისხით, ეკონომიკური და სოციალური განვითარების არამდგრადობით, მოსახლეობის სახელმწიფოსადმი ნდობის მკვეთრი დაცემით. რეფორმატორები ისწრაფვოდნენ, მართვის პროცესებში გამოეყენებინათ ახალი საინფორმაციო და მმართველობითი ტექნოლოგიები სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის, რათა უფრო ეფექტური და ნაკლებად ხარჯიანი გაესადათ იგი. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ორგანიზაციულ-მმართველობითი პრობლემები. გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატი მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფოს, ამუხრუჭებდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარებას. პოლიტიკური თანამდებობის პირები საკუთარ პასუხისმგებლობას კარიერულ მუშაკებს და კერძო სექტორს გადააწერდნენ და პარალელურად ამკაცრებდნენ კონტროლს მათზე. ვითრდებოდა მართვის მეცნიერება და უფრო და უფრო მეტი პრატიკოსის ყურადღებას იქცევდა ეს დარგი. საჭირო ხდებოდა მეცნიერული პოტენციალის ჩართვა რეფორმატორულ პორცესში.

მეორე ბლოკის მიზეზებიდან ერთ ერთი წამყვანი მიზეზია ევროპული ინტეგრაცია. სწორედ ევროსაბჭოში მიმდინარე გარდაქმნებს დაემთხვა ევროპის წამყვან ქვეყნებში მიმდინარე ადმინისტრაციული რეფორმები. ამ პერიოდში მოხდა ინტეგრაციის გაღრმავება, ევროსაბჭოს გაფართოება. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ფინეთის და გერმანიის რეფორმებზე დიდი გავლენა იქონია ერთიანი საერთო შიდა ბაზრის ფრომირების დასრულებამ, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნამ, 2003 წლიდან დღემდე ევროსაბჭოს პოლიტიკური ინსტიტუტების სრულყოფამ. გლობალური ცვლილებები, რომლებიც ბიპოლარული სისტემის კრახთან იყო დაკავშირებული, ხელებს უხსნიდა ევროპას საგარეო პოლიტიკაში, ხოლო რბილმა და ხავერდოვანმა რევილუციებმა ევროპა იძულებული გახადა დაფიქრებულიყო კოორდინირებულ მოქმედებაზე საშინაო პოლიტიკაში.

ზემოთხსენებული ქვეყნები საინტერესოა იმიტაც, რომ ევროპული რეფორმების კონცეპტუალური და იდეოლოგიური საფუძვლები სწორედ აქ შემუშავდა. ასევე მნიშვნელოვანია,

რომ ისინი სახელმწიფოთა სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები არიან და მათ სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და საჯარო მმართველობის ფორმები აერთიანებთ. დიდი ბრიტანეთი მიეკუთნება ანგლოსაქსურ ქვეყნებს, საფრანგეთი-ნაპოლეონის ქვეყნებს, გერმანია-გერმანულ ქვეყნებს და ჩრდილოეთის ქვეყნებს - ფინეთი.

ჩვენს მიერ ზემოთჩამოთვლილი ადმინისტრაციული რეფორმების მიზეზები კომპლექსურად გამოხატავს ევროპის რეფორმირების მთავარ პარამეტრებს და მიმართულებებს, განსაზღვრავენ რეფორმების მიზნებს, დანიშნულებას და შინაარსს.

### ლიტერატურა:

#### References:

1. Мэннинг Н., Парисон Н. Реформа государственного управления международный опит. Москва, 2003.
2. Василенко И.А. Сравнительный анализ административных реформ в ведущих странах мира Государственное и муниципальное управление. Москва, 2007.
3. Дубровин Ю. Административно-государственное реформирование в странах Европейского Союза. Москва, 2009 .
4. Сморгунов Л.В. Административные реформы в западных странах. Москва, 2007.

**Tamar Javakhishvili, Giorgi Zirakashvili**

## **KEY REASONS OF ADMINISTRATIVE REFORMS IN EU COUNTRIES**

### **Summary**

Administrative reforms in state governance is an integral part of modern European state. Reforms are conducted in all countries of the Council of Europe. Practically, it is possible to find all the components similar to reform, that allow us to talk about transnationalization of state reforms.

Western European researchers emphasize the importance of four key areas, in which there are mostly administrative reforms in Public expenditure management; Human politics and Civil Service governance, the

executive body of the organizational structure of the system, development and realization of politics.

While studying any process or transformation, the analyzes is always key feature Due to which these processes occurred. The discussion leads to the cause of reform in modern political scientists.

Administrative-state reforms are evolutionary process of Structural and functional changes. That is aimed at increasing the effectiveness and improving the quality of the device. Based on analysis of administrative reforms of European countries, it can be notified that they should group into two major blocks. First Block-Reasons of internal state; second block-International or external causes.

In the first block are: Political, economic, social, managerial and scientific reasons, and The second block includes many external factors, where European integration and globalization are key factors. These causes express key parameters and directions; shape the goals, purpose and content of reforms.

**Keywords:** State and administrative reform, European experience, the Council of Europe countries, Causes, Finland, Germany, Great Britain, France, European integration, globalization.

**Reviewer:** Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**Тамара Джавахишвили, Георгий Зиракашвили**  
**ВАЖНЕЙШИЕ ПРИЧИНЫ АДМИНИСТРАТИВНЫХ РЕФОРМ В СТРАНАХ ЕВРОСОЮЗА**

**Резюме**

Административное реформирование сегодня стало неотъемлемой чертой государственного управления в современной Европе. Реформы проводятся во всех странах Евросоюза и, практически, во всех государствах можно выявить схожие компоненты реформ, что позволяет говорить о транснационализации административного реформирования. Во многом это объясняется тем, что схожие проблемы породили некоторые общие направления их решения.

Анализ наиболее общих причин административных реформ показал, что их можно сгруппировать в крупные блоки. Первый блок - внутренние причины (внутригосударственные); второй блок - внешние причины (международные).



К первому блоку можно отнести внутригосударственные причины: политические, экономические, социальные, управленческие и причины научного характера.

Ко второму блоку причин, повлиявших на ход административных реформ в странах Евросоюза, относятся внешние (международные) причины, важнейшими из которых являются европейская интеграция и глобализация. Все эти причины комплексно отражают важнейшие параметры и направления европейского реформирования, определяют его цели, назначение и содержание.

**Ключевые слова:** Административная реформа, страны Евросоюза, общие причины, Великобритания, Франция, Германия, Финляндия, европейская интеграция, глобализация.

**Рецензент:** Профессор Отар Кочорадзе, Грузинский технический университет

**ვაჟა მანია**  
**საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაციის**  
**საზღვარბარემული გამოცდილების შეფარებითი ანალიზი**

*სტატიაში გაანალიზებულია ევექტიანი საჯარო მმართველობის ერთ-ერთი უნივერსალური პრინციპი – დეცენტრალიზაცია.*

*დასაბუთებულია, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების დინამიური განვითარება არსებითად დამოკიდებულია საჯარო მმართველობის ევექტიანობაზე და მის გონიერ და დაბალანსებულ შეხამებაზე მართვის სხვა ფორმებთან.*

**საკვანძო სიტყვები:** საჯარო მმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, დეცენტრალიზაცია.

სახელმწიფო მოწყობის, რეგიონალური მართვის საქმეში თვითმმართველობა არის კონსტიტუციური პრინციპი. იგი მოითხოვს მმართველობის სისტემის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას... ევროპის ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს განამტკიცებს „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია“. საქართველოს პარლამენტმა „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება მოახდინა 2004 წლის 26 ოქტომბერს, რითაც გადაიღვა კიდევ პირველი გაბედული ნაბიჯი საქართველოში დეცენტრალიზებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებისკენ. [1, გვ.196-198]

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის (№1811 03.10.2007 „რეგიონალიზაცია ევროპაში“) 4-ე პუნქტის თანახმად „ევროსაბჭო მხარს უჭერს რეგიონალიზაციის პროცესს მისი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური ევექტიანობის გამო, ვინაიდან ხელისუფლების ეს დონე უფრო ახლოსაა რეალობასთან და მოქალაქეებთან, ვიდრე სახელმწიფო“. [2]

ახალი მმართველობითი სიტუაცია და მართვის პარადიგმა განაპირობებს სტრუქტურირების ახალი ორგანიზაციული პრინციპების სიღრმისეული კონცეპტუალური დამუშავების აუცილებლობას: ერთიანი მმართველობითი ცენტრის ორგანიზაციის პრინციპების შევსებას დეცენტრალიზაციის პრინციპებით, ფუნქციონალური სტრუქტურების

ავტონომიზაციასა და ამ სტრუქტურებზე დამოუკიდებელი ქმედებებისათვის სოციალური და იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრებას. [3, გვ. 330]

დეცენტრალიზაციის კონცეფციის პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია დეცენტრალიზაციის ტერმინისა და კონცეფციის გაგება, იმის გაცნობიერება, თუ რას ნიშნავს ეს ტერმინი, როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში საჯარო ხელისუფლებისა და საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაცია, როგორია დეცენტრალიზაციის თავისებურებები, ღირსებები და ნაკლოვანებები, სად გადის დეცენტრალიზაციის ზღვარი.

ტერმინი „დეცენტრალიზაცია“ თავისი სტრუქტურითა და შინაარსით, წარმოადგენს ცნებას, რომელიც მოიცავს ცნებათა ფართო არეალს, რომლებიც ეხება საჯარო ადმინისტრაციისა და მთელი საჯარო ხელისუფლების სისტემის რაციონალურ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ორგანიზაციასა და რეორგანიზაციას, ასევე საჯარო პოლიტიკის ფორმირების ლოგიკასა და მექანიზმებს.

არ არსებობს დეცენტრალიზაციის საყოველთაოდ აღიარებული და უნიფიცირებული გაგება. ამის ნათელ დსტურს წარმოადგენს უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მოცემული ცნების რამოდენიმე ათეული განმარტება.

უან-ბენუა ალბერტინი თანახმად, „დეცენტრალიზაცია – ესაა პოლიტიკა, მიმართული ცენტრალურ სამსახურებსა და ტერიტორიულ ქვედანაყოფებს შორის ისეთი ურთიერთობების მისაღწევად, რომელთაც ახასიათებთ ადგილებზე საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების გადაცემა“. [4, გვ. 62-63]

ნ. დობრინინის მიხედვით „დეცენტრალიზაცია – უფლებამოსელების გადაცემა ზემოდან ქვემოთ, რომელიც გულისხმობს დასახული ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას ან დამოუკიდებელ განკარგვას გადაწყვეტილებების აღსრულებისას, ინფორმაციის დამოუკიდებელ გავრცელებას“. [5, გვ. 329]

დ. ჟოვტუნოვი წერს, რომ დეცენტრალიზაცია არის “ხელისუფლების გადანაწილების პროცესი სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ, ასევე თვითმმართველობის, ორგანოებს შორის საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა

სფეროების მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით“. [6, გვ. 295-296)

დეცენტრალიზაცია არ წარმოადგენს ცენტრალიზაციის სრულ ოპოზიციასა და განსაკუთრებულ ალტერნატივას. ეს ორივე პრინციპი აუცილებელია საჯარო ხელისუფლების სისტემის რაციონალური ორგანიზაციისათვის, ხოლო ერთმანეთის შემავსებელი ეროვნული და სუბეროვნული როლები უნდა განისაზღვროს, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, საჯარო მმართველობის მიზნების მისაღწევად ყველაზე ეფექტიანი გზებისა და საშუალებების ანალიზის სფეროებზე.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი ტულია ფალეტი დეცენტრალიზაციას განსაზღვრავს როგორც პოლიტიკური სტრატეგიების პროცესსა და ერთობლიობას, საარჩევნო სისტემის რეფორმის ან კონსტიტუციური რეფორმირების ჩარჩოებში, რომლის დროსაც ხდება ხელისუფლების იერარქიულად უფრო მაღალი დონიდან იერარქიულად უფრო დაბალ დონეზე პასუხისმგებლობის, რესურსებისა და ძალაუფლებრივი უფლებამოსილებების გადაცემა. ამგვარად განსაზღვრული დეცენტრალიზაციის მისაღწევად გამიზნული პოლიტიკა არ მოიცავს ძალაუფლებრივი უფლებამოსილებების გადაცემას არასახელმწიფო სუბიექტებისათვის, და არ გულისხმობს პრივატიზაციას. [7, გვ. 34)

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო სამსახურის აკადემიის სახელმწიფო სამსახურისა და მართვის ინსტიტუტის სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურის იურიდიული უზრუნველყოფის კათედრის პროფესორის ი. პონკინის აზრით დეცენტრალიზაციის ცნება შეიძლება გულისხმობდეს უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობისა და რესურსების გადანაწილებას როგორც ექსკლუზიურად საჯარო ხელისუფლების ორგანოების სისტემის შიგნით (აქ იგულისხმება ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონე) კერძო სექტორის ორგანიზაციების რამენაირი ჩართვის გარეშე, ასევე, საჯარო ხელისუფლების ორგანოებსა და კერძო სექტორის ავტონომიურ ორგანიზაციებს შორის. მსგავსი გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს, როგორც მისი უზრუნველყოფი ფინანსური რესურსებისა და შესაძლებლობების გადაცემით, ასევე მის გარეშე.

ი. პონკინის კონცეფციის თანახმად, დეცენტრალიზაცია განხილული უნდა იყოს სამ ასპექტში: როგორც საჯარო მმართველობის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების *პრინციპი*, როგორც საჯარო მმართველობის *მეთოდი* და როგორც *პროცესი*.

საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაცია, როგორც საჯარო მმართველობის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების *პრინციპი* იურიდიულ სივცეში წარმოადგენს იმპერატივს ან შესაძლებლობას.

საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაცია, როგორც *მეთოდი* წარმოადგენს საჯარო-ხელისუფლებრივი კომპეტენციებისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის განაწილებისა და გამოჯვნის მარშრუტიზირებასა და ალგორითმიზირებას, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საჯარო მმართველობა და საჯარო პოლიტიკა, ასევე მსგავსი მმართველობისა და პოლიტიკის ფარგლებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებათა, ალგორითმთა და პროცედურათა ერთობლიობას.

საჯარო ხელისუფლებისა და საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაცია, როგორც *პროცესი* წარმოადგენს დროში მიმდინარე, დროის გარკვეული პერიოდისადმი მიბმულ გადაანაწილებას, დეკონცენტრაციას, რესტრუქტურისაციას ან საჯარო-სახელისუფლებო უფლებამოსილების სისტემის სხვა სახის რეორგანიზაციას და მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას მსგავსი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის გადასაცემად საჯარო ხელისუფლების იერარქიულად უფრო მაღალი დონიდან იერარქიულად უფრო დაბალ დონეებზე ან საჯარო ხელისუფლებისა და საჯარო მმართველობის ერთნაირი დონის ორგანოების უერთიერთქმედების სისტემის ფარგლებში. [8, გვ. 64-66]

ამგვარად სამეცნიერო ლიტერატურაში დეცენტრალიზაცია განიხილება როგორც დადებითი მოვლენა. ავტორთა უმრავლესობა იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ დეცენტრალიზაციის პრინციპის რეალიზაცია უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდას, ხოლო თავად ეს პრინციპი უშუალოდაა დაკავშირებული საჯარო მმართველობის ინოვაციურ მოდელებთან, რომლებიც გულისხმობს მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდას ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური

გადაწყვეტილებების შემუშავებაში, მიღებასა და რეალიზაციაში.

სწორედ დეცენტრალიზაციის წყალობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იღებენ შესაძლებლობას აიღონ თავის თავზე ახალი და სულ უფრო ფართო უფლებამოსილებანი, მათ შორის იმისათვის, რომ უზრუნველყონ საჯარო მომსახურების უფრო ფართო სპექტრის მიწოდება, უფრო აქტიურად, ეფექტიანად და დამოუკიდებლად გადაწყვიტონ რეგიონალური და ადგილობრივი საკითხები.

ხელისუფლების დეცენტრალიზაცია აუქმობესებს საჯარო მომსახურების მიწოდების ხარისხს:

- დეცენტრალიზაცია საშუალებას იძლევა უზრუნველყვით მიწოდებული საჯარო მომსახურების უფრო მრავალფეროვანი სპექტრი, ასევე მათი მიწოდების ხერხების მრავალფეროვნება იმდამკვეთად, რომ მსგავსმა მომსახურებამ შეძლოს უფრო ზუსტად ასახოს სახელმწიფოს სხვადასხვა რეგიონების განსხვავებული პრიორიტეტები;

- გეოგრაფიული და ბიუროკრატიული ბარიერების (მომსახურების უშუალო მიწოდებელსა და მმართველ რგოლს შორის) შემცირების ხარჯზე დეცენტრალიზაციას შეუძლია ხელი შეუწყოს მომსახურების მიწოდებაზე კონტროლის უზრუნველყოფის ხარჯების შემცირებას, ასევე ხელს შეუწყობს საჯარო მომსახურების მიმღებთა (მომხმარებელთა) მოთხოვნილებებზე მმართველობითი რგოლის რეაგირების ოპერატიულობისა და ეფექტიანობის ამაღლებას;

- დეცენტრალიზაცია იძლევა გარანტიას, რომ საჯარო მომსახურების გაწვევისათვის გამიზნული სახსრები განაწილებული იქნება ყველა რეგიონს შორის უფრო მეტი შესაბამისობითა და დასაბუთებით.

კრებულში „საჯარო მმართველობის პრაქტიკა საფრანგეთში“ აღნიშნულია დეცენტრალიზაციის შემდეგი ამოცანები:

- დაუახლოვოთ საჯარო ადმინისტრაცია მოქალაქეებს, მათ პრობლემებსა და საჭიროებებს, ამ დროს საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები იღებენ შესაძლებლობას უფრო საგნობრივად და ეფექტიანად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები;

- დავაახლოვოთ თვითონ საჯარო (სახელმწიფო და მუნიციპალური) მოხელეები იმ ხელმძღვანელთან, რომელიც უშუალოდ არის დაკავებული საჯარო მმართველობის

საკითხებით საქმიანობის მოცემულ სფეროში, რაც იძლევა სამასხურეობრივ-იერარქიული ურთიერთობების კუმანიზაციის საშუალებას;

- საშუალება მიეცეს საჯარო მოსამსახურეებს უფრო სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და ინიციატივა, ვინაიდან ისინი იღებენ უფრო ფართო უფლებამოსილებებს და მანევრირების მეტ თავისუფლებას;

- დამყარდეს უფრო პირდაპირი ურთიერთობები სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის. [9, გვ. 70-71]

ნ. დობრინინის მიხედვით დეცენტრალიზაციის ძირითად უპირატესობებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფოს ფარგლებში არსებული ერთობების თავისებურებები და მათთვის ყველაზე მისაღები საჯარო-ხელისუფლებრივი მექანიზმების ფორმირება;

- ცენტრალური ხელისუფლების განთვისუფლება ჭარბი რაოდენობის ფუნქციების უღლისაგან (და შესაბამისად, დარჩენილების აღსრულების ეფექტიანობის ამაღლება);

- ადგილობრივი სეპარატიზმის გადაყვანის შესაძლებლობა კონსტრუქციული ურთიერთობის კალაპოტში (აგრეთვე შესაძლოა ცენტრიდანული ტენდენციებისა და პერიფერიული ნაციონალიზმის ზეგავლენისაგან სახელმწიფოს დაშლის თავიდან აცილება);

- საჯარო მმართველობის დაახლოება ობიექტთან და საჯარო ხელისუფლების ძირითად წყაროსთან - ხალხთან. [10, გვ. 210]

ტულია ფალეტის მიხედვით ადმინისტრაციულმა დეცენტრალიზაციამ შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური ზემოქმედება სახელმწიფო ხელისუფლების რეგიონალური (სუბნაციონალური) ორგანოების ავტონომიასა (ბიუროკრატიული ავტონომია) და საქმიანობის ეფექტიანობაზე, და რომ ეს დამოკიდებულია მოცემულ სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის თავისებურებებზე. თუკი დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ადგილობრივ და რეგიონალურ სახელმწიფო ბიუროკრაციას, ეხმარება აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების თანამდებობის პირთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მაშინ ეს ზრდის საჯარო ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების ორგანიზაციულ პოტენციალს, და

შესაბამისად იწვევს დადებით შედეგებს. მაგრამ, თუკი ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია მიმდინარეობს, მაგალითად, ხშირ შემთხვევაში შესაბამისი ფინანსური სახსრების გადაცემის გარეშე, ამას შეიძლება მოჰყვეს აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების დამოუკიდებლობის დონის დაქვეითება.

დეცენტრალიზაციის გამოყენების პირობებში მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში გაიზარდა შემოსავლებისა და ხარჯების სუბნაციონალური განაწილება, ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური შედეგებით.

კერძოდ, ი. ბარცის აზრით „სოციალური გარანტიების მიწოდების დეცენტრალიზაცია საშუალებას იძლევა დაძლეული იქნას სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემის მოუხეშავობა და ანონიმურობა“. [11, გვ. 426-427]

დეცენტრალიზაციისათვის ასევე დამახასიათებელია გარკვეული სახის ხარვეზები.

ლ. კარინო წერს, რომ თუ, მაგალითად, ძალაუფლება გადაეცემა იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, დეცენტრალიზაციამ შეიძლება ხელიშეუწყოს სახელმწიფოში კორუფციული მდგომარეობის განვითარებას და ტანამდებობის პირების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებას. ამგვარად, დეცენტრალიზაციას აუცილებლად თან უნდა ახლდეს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა.

დეცენტრალიზაციამ, შესაძლოა, ერთდაგვარად ძირი გამოუთხაროს ეროვნულ ერთობას, აიძულოს რეგიონების მოსახლეობა თავისი თავი უფრო მეტად რეგიონებთან გააიგივონ, ვიდრე მთლიანობაში მთელ ერთან, ასევე მას შეუძლია გამოიწვიოს საჯარო მმართველობის არაუფექტიანობა, ხარჯების ზრდა და ცალკეული სტრუქტურების ჭარბი მოღვაწეობა. იმის გამო, რომ დეცენტრალიზაცია აიძულებს ცენტრალურ (საერთოეროვნულ) ორგანოებს თანაბრად მოექცნენ ყველა რეგიონს, მას ასევე შეუძლია დააქვეითოს საჯარო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების შესაძლებლობები – დასაბუთებულად გადაანაწილონ სახსრები მდიდარ და ღარიბ რეგიონებს შორის. გარდა ამისა დეცენტრალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს



საჯარო მომსახურების მიწოდების ხარისხის დაქვეითება, კერძოდ, იმ სფეროებში, სადაც აუცილებელია სპეციალური კომპეტენციები იმის გამო, რომ ასეთი შესაძლებლობები შეიძლება შეზღუდული იქნეს საჯარო მმართველობის უფრო დაბალ დონეებზე. დეცენტრალიზაციის კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ მან შეიძლება საშუალება მისცეს ადგილობრივ ელიტებს უზომო ზეგავლენა მოახდინონ რესურსების განაწილებაზე. [12, გვ. 72-73]

რუსი მეკლევარის იტროფიძოვას აზრით, ახალი საჯარო მენეჯმენტის კონცეფცია ითვალისწინებს მართვის დეცენტრალიზაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის გაფართოების ხარჯზე, ხოლო მთავრობის ძირითადი ამოცანაა შეუქმნას ადგილობრივ თანამეგობრობებს შესაძლებლობა დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები და გააკონტროლონ მისაწოდებელი საჯარო სერვისების ხარისხი. მოცემული მიდგომა შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად ფასეულობებს – ავტონომიას (დეცენტრალიზებულ მმართველობას), დემოკრატიას (მოქალაქეთა მონაწილეობას) და ეფექტიანობას (ხელისუფლების ხალხთან სიახლოვეს). სახელმწიფო გადასცემს საჯარო სერვისების მიწოდების ფუნქციებს არასახელმწიფოებრივ (კომერციულ და საზოგადოებრივ) ორგანიზაციებს, თავისთვის იტოვებს რა საერთო სტრატეგიის შემუშავებისა და კონტროლის ფუნქციებს. მსგავსი დეცენტრალიზაცია საშუალებას იძლევა უზრუნველყოს მართვის მაღალი ხარისხის მოქნილობა და ეფექტიანობა, ასევე სტიმულირებას უწევს სერვისების მიწოდებელთა შორის კონკურენციას, სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. ახალი საჯარო მენეჯმენტის ხარვეზს წარმოადგენს საჯარო სექტორის კომერციალიზაციაზე აქცენტის გაკეთება და სოციალურ-პოლიტიკური მონაწილეობისა და ურთიერთქმედების როლის არასათანადო გათვალისწინება. [13, გვ. 80-91]

### დასკვნა

საქართველოში საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია სოციალური სისტემების თვითორგანიზაციისა და თვითმმართველობის პროცესების აქტუალიზაცია და სახელმწიფო მმართველობის სოციალური ეფექტიანობის გაზრდა. საჯარო მენეჯმენტისა და

მმართველობის თანამედროვე კონცეფციები ეურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო მმართველობის მაღალ შედეგიანობასა და პოლიტიკურ პლურალიზმზე, უფლებამოსილებათა დელეგირებაზე მმართველობითი იერარქიის დაბალ დონეებზე და ხელისუფლების უფრო დაბალანსებულ განაწილებაზე, პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის განვითარებასა და გაფართოებაზე. ამ კონცეფციათა ერთ-ერთ საკვანძო მომენტს წარმოადგენს დეცენტრალიზაცია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დეცენტრალიზაცია საქართველოში განპირობებული უნდა იყოს ცენტრისა და ლოკალური თანამეგობრობების ურთიერთობების სპეციფიკით და ადგილობრივი თვითმმართველობის პოტენციალით (აქ ჩვენ ვგულისხმობთ ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკურ წონას, ადამიანურ და ფინანსური რესურსების), ვინაიდან ნებისმიერი ტიპის დეცენტრალიზაცია შეუძლებელი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება ისევ დარჩება ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის უბრალო აღმსრულებლად. ამავდროულად უნდა ავლნიშნოთ, რომ მართვის დეცენტრალიზაცია არ არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტის გარეშე, ის ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით და მისი კონტროლით.

## ლიტერატურა:

### References:

1. doRonaZe S., iaSvili g. sajaro samsaxuri saqarTveloSi: reformebi, gamowvevebi – “eleqtronuli mTavroba”. Tbilisi, 2013. – 429 gv.
2. Рекомендация Парламентской Ассамблеи Совета Европы № 1811 (2007) от 03.10.2007 «Регионализация в Европе» [http://www.coe.int/T/r/Parliamentary\\_Assembly/%5bRussian\\_documents%5d/%5b2007%5d/%5bOct2007%5d/Rec1811\\_rus.asp](http://www.coe.int/T/r/Parliamentary_Assembly/%5bRussian_documents%5d/%5b2007%5d/%5bOct2007%5d/Rec1811_rus.asp)
3. Барциц И.Н. Система государственного и муниципального управления: учебный курс: В 2 т. Т. 1. – М.: Изд-во РАГС, 2011.- 464 с.
4. Понкин И.В. Общая теория публичного управления: Избранные лекции / Международный институт государственной службы и управления Российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте Российской Федерации. – М., 2013.

5. Добрынин Н.М. Государственное управление: Теория и практика. Современная версия новейшей истории государства: Уч. Т. 1 / Науч. ред. А.Н. Митин. – Новосибирск: Наука, 2010. –407 с.
6. Энциклопедия государственного управления в России: В 4 т. / Под общ. ред. В.К. Егорова. Отв. ред. И.Н. Барциц / Том I. А-Е. Отв. ред. И.Н. Барциц. – М.: Изд-во РАГС, 2004. - 344 с. - С.
7. Decentralization and Subnational Politics in Latin America, 2010, Cambridge University Press. New York: – 285 p. – P. 34.
8. Понкин И.В. Общая теория публичного управления: Избранные лекции / Международный институт государственной службы и управления Российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте Российской Федерации. - М., 2013.
9. Понкин И.В. Общая теория публичного управления: Избранные лекции / Международный институт государственной службы и управления Российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте Российской Федерации. - М., 2013.
10. Добрынин Н.М. Государственное управление: Теория и практика. Современная версия новейшей истории государства: Уч. Т. 1 / Науч. ред. А.Н. Митин. – Новосибирск: Наука, 2010. –407 с.
11. Барциц И.Н. Система государственного и муниципального управления: учебный курс:В 2 т. Т. 1.М.: Изд-во РАГС, 2011.-464 с.
12. Понкин И.В. Общая теория публичного управления: Избранные лекции / Международный институт государственной службы и управления Российской академии народного хозяйства и государственной службы при Президенте Российской Федерации. - М., 2013.
13. Трофимова И.Н. ТРАНСФОРМАЦИЯ ОТНОШЕНИЙ ЦЕНТРАЛЬНОЙ И МЕСТНОЙ ВЛАСТИ В ПРОЦЕССЕ ДЕЦЕНТРАЛИЗАЦИИ УПРАВЛЕНИЯ// VI. ЗАРУБЕЖНЫЙ ОПЫТ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ И МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ. Журнал «ARS ADMINISTRANDI» («Искусство управления») № 2 / 2011.

**Vaja Mania**

**COMPARATIVE EXPERIENCES WITH DECENTRALIZATION OF PUBLIC ADMINISTRATION ABROAD**

**Summary**

The article analyzes one of the universal principles of the effective public administration - decentralization.

It is proved that the dynamic development of the state and society depends essentially on the efficiency of the government and its reasonable and balanced combination with other forms of governance..

**Keywords:** public administration, local government, decentralization.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Важа Маниа**

**СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ОПЫТА ДЕЦЕНТРАЛИЗАЦИИ ПУБЛИЧНОГО УПРАВЛЕНИЯ ЗА РУБЕЖОМ**

**Резюме**

В статье анализируется один из универсальных принципов эффективного публичного управления – децентрализация.

Обосновывается, что динамичное развитие государства и общества существенно зависит от эффективности государственного управления и его разумного и сбалансированного сочетания с другими формами управления.

**Ключевые слова:** государственное управление, местное самоуправление, децентрализация.

**Рецензент:** Профессор Шота Догонадзе, Грузинский технический университет

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

## ზურაბ გარაყანიძე, ნინო მაღრაძე თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა ჩინეთთან და საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი

საერთაშორისო სავაჭრო გაერთიანებების წევრობა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მყარ საფუძველს ქმნის ნებისმიერი ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციისათვის. თავის მხრივ სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები უკვე აქვს გაფორმებული რიგ ქვეყნებთან. ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობა ჩინეთთან შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე მუშაობს. რა დადებითი და უარყოფითი ეფექტები ექნება აღნიშნულ ხელშეკრულებას, რა ცვლილებებს გამოიწვევს საქართველოს სავაჭრო ბალანსში და როგორ იმოქმედებს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე - ამ საკითხებს განიხილავს წინამდებარე სტატია.

**საკვანძო სიტყვები:** თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, საქართველო, ჩინეთი, ინვესტიციები, ვაჭრობა, მშპ

### შესავალი

საქართველომ თავისუფალი ეკონომიკის პრინციპებით სვლა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 90-იანი წლების მიწურულს დაიწყო. მისი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, რაც განპირობებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობით (WTO), საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებითა და სავაჭრო რეჟიმებით, უმუშევრობის დაბალი დონით, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობით, ფინანსური სექტორის სტაბილურობით. საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 2010-2014 წლებში 5.6 %-ს შეადგენდა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონის ქვეყნებში. 2014 წელს საქართველოს მშპ 16.5 მლრდ. აშშ დოლარი იყო. 2014 წელს უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი კი საქართველოს ისტორიულ

მინიმუმს 12.4 %-ს გაუტოლდა. დაზუსტებული მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1758 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (87 %-ით აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს). რეგიონში არსებული სირთულეების ფონზე, ეკონომიკური პროცესები საქართველოში მიმდინარე წელსაც (2015) აქტიურად გრძელდება (2.6 % ეკონომიკური ზრდა). საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია საერთაშორისო თვალსაზრისით მომხდარი ცვლილებები, 2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოველმხომცველ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიიდან გამომდინარე, მუშაობს ახალი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობებზე. საქართველოს ერთ-ერთ პოტენციურ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენს ჩინეთი, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მუშაობა ორივე ქვეყნის წარმომადგენლების მიერ უკვე დაწყებულია.

### **საქართველო - ჩინეთის ორმხრივი ვაჭრობა და ეკონომიკური მახასიათებლები**

ჩინეთი 1.3 მილიარდიანი მოსახლეობით, უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ეკონომიკური ტენდენციების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ქვეყანაა. მისი ეკონომიკური აღმავლობა 1980-იან წლებში დაიწყო, როდესაც საბაზრო მოთხოვნებს მორგებული მოდელი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარანტი გახდა. მიუხედავად რეფორმების და ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპებისა, ჩინეთი მაინც რჩება განვითარებად ქვეყნად, დაახლოებით 100 მილიონი ადამიანი კვლავ ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ჩინეთის საშუალო ეკონომიკური ზრდა 2010-2014 წლებში 8.6 % იყო. მისი მიმდინარე მშპ 7 594 ტრილიონი აშშ დოლარია. უმუშევრობის დონე კი მთლიანი მოსახლეობის 4.6 % არ აღემატება.

საქართველო და ჩინეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებია, შესაბამისად “უპირატესი ხელშეწყობის” რეჟიმით მოქმედი საშუალო სავაჭრო ტარიფი ჩინეთისათვის არის - 9.9% (სოფლის

მეურნეობის პროდუქციაზე - 15.6%, არა-სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე - 9%). საქართველოსათვის კი - 1.5% (სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე - 5.9%, არა-სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე - 0.7%). ჩინეთი სატარიფო ქვებზე იყენებს 8 სასაქონლო ჯგუფის მიმართ (მათ შორის: ხორბალი, ბრინჯი, შაქარი, ბამბის ქსოვილები), ჩინეთისგან განსხვავებით საქართველო არ იყენებს არა-სატარიფო მექანიზმებს. საქართველო - ჩინეთის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა ამ ეტაპზე შეადგენს 823 მლნ. აშშ დოლარს. 39.4 % -იანი სავაჭრო ბრუნვის ზრდა შეინიშნებოდა 2010-2014 წლებში. ჩინეთიდან საქართველოში მიმდინარე იმპორტი არის 732.9 მლნ. აშშ დოლარი და ძირითადი საიმპორტო პროდუქტებია - შავი ლითონის და ფოლადის პროდუქტები, პორტატული ციფრული გამოძივლელი მანქანები, ფეხსაცმელი, სატელეფონო აპარატები, სხვ. საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი კი შეადგენს 90.39 მლნ. აშშ დოლარს. ძირითადი საექსპორტო პროდუქციას კი წარმოადგენს სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ჯართი, ღვინო, სხვა ალკოჰოლური და უაღკოპოლო სასმელები. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 11.5 მლრდ აშშ დოლარია. ჩინეთის სავაჭრო ვაჭრობის ბრუნვა კი 4.3 ტრილიონი აშშ დოლარი. საქართველოდან 2014 წელს 2.86 მლრდ აშშ დოლარის პროდუქციის ექპორტი განხორციელდა, ჩინეთიდან კი 2.34 ტრილიონი აშშ დოლარის. რაც შეეხება იმპორტს, 2014 წელს საქართველოში 8.59 მლრდ აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა, ხოლო ჩინეთში 1.96 ტრილიონი აშშ დოლარის. იმპორტის საშუალო ზრდა საქართველოსთვის 2010-2014 წლებში 14.3 % იყო, ხოლო ჩინეთისთვის 15.1 %. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ჩინეთი და უკრაინა. ჩინეთის კი ევროკავშირი, აშშ, იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი და სხვ. საქართველოდან ძირითადად ხორციელდება ავტომობილების, ფერო შენადნობების, სპილენძის, თხილის და ღვინის ექსპორტი. ჩინეთისათვის კი მთავარი საექსპორტო პროდუქტებია: მანქანების მოწყობილობები, ქსოვილები და ნაწარმოები მზა პროდუქცია, მეტალი და მეტალის პროდუქტები. ძირითადი საიმპორტო პროდუქტის საქართველოსთვის წარმოადგენს ნავთობ პროდუქტები და ბუნებრივი აირი, ავტომობილები, სატელეფონო აპარატები. ჩინეთისთვის კი ძირითადი საიმპორტო პროდუქციაა მანქანები და ელექტრო

მოწობილობები, ბუნებრივი აირი, ნავთობი და მადნები. რაც შეეხება მომსახურების ექსპორტ-იმპორტს, 2014 წელს საქართველოსთვის მთლიანი ბრუნვა წარმოადგენდა 4.8 მლრდ. აშშ დოლარს, ხოლო ჩინეთისთვის 604 მლრდ. აშშ დოლარს. ექსპორტი საქართველოსთვის იყო 3.1 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ჩინეთისთვის 222 მლრდ აშშ დოლარი. იმპორტი საქართველოსთვის იყო 1.7 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ჩინეთისთვის 382 მლრდ აშშ დოლარი. საქართველოსთვის ძირითადი საექსპორტო მომსახურების კატეგორიებია - ტურიზმი და ტრანსპორტი, ხოლო ჩინეთისთვის ტურიზმი, ტრანსპორტი და ინტელექტუალური საკუთრება.

### **თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და საინვესტიციო პოტენციალი**

